

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის
სათათბიროს სხდომის

ო კ მ ი № 51

27.11.2015

სათათბიროს 12 წევრიდან ესწრებოდა 12

1. 2016-17 სასწავლო წლისთვის, საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის შესახებ (ნ.წერეთელი)

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: პროფ. ნ. წერეთელი: მან სათათბიროს წევრებს გააცნო მიმდინარე და გასული წლების სტატისტიკური მონაცემები ბაკალავრიატის პირველ კურსზე დაგეგმილ და მიღებულ სტუდენტთა რაოდენობების შესახებ და სთხოვა სათათბიროს წევრებს დაესახელებინათ 2016-17 სასწავლო წელს ბაკალავრიატში მისაღები სტუდენტთა რაოდენობები საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

აზრი გამოთქვას: პროფ. ზ. კოვზირიძე. მან აღნიშნა, რომ მიმზიდველობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნია გაიზარდოს მისაღები კონტიგენტის რაოდენობა "სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამასთან წამოაყენა წინადადება პროფესორებმა ლ. გვასალიამ და ნ. კუციავამ იმუშაონ პედაგოგიური კადრების მოზიდვის კუთხით.

პროფ. მ. მაისურაძე. აღნიშნა, რომ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება გამოცხადდეს მხოლოდ 'გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების" საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვინაიდან სხვა დანარჩენ პროგრამებზე ნაკლებია აბიტურიენტთა დაინტერესება.

პროფ.ნ. კუციავა, ლ. გვასალია, თ. ცინცაძე. მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებებს.

დაადგინეს: 1. 2016-17 სასწავლო წელს მისაღები კონტიგენტი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

საგანმანათლებლო პროგრამა	მისაღები კონტიგენტი
<ul style="list-style-type: none">ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია:მეტალურგიამასალათმცოდნეობაგარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება	240
<ul style="list-style-type: none">სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია	80
<ul style="list-style-type: none">ფარმაცია	100
<ul style="list-style-type: none">ქიმია	50
რუსული სექტორი	
<ul style="list-style-type: none">"Инженерия защиты окружающей среды" (გარემოს დაცვითი ინჟინერია)	15

2. პროფესორებმა ლ. გვასალიამ და ნ. კუციავამ იმუშაონ პედაგოგიური კადრების მოზიდვის მიზნით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის" სრულყოფილად წარმართვისათვის.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: პროფ. ნ. წერეთელი. მან სათათბიროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2011-15 წლებში ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე სტუდენტთა დასწრების აქტივობის შესახებ. აღნიშნა, რომ ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტთა დასწრების აქტივობა საბჭოს სხდომებზე არის დაბალი და არ აღემატება 40 %-ს.

თავმჯდომარემ აღნიშნა აგრეთვე, რომ შემოსულია ასოც. პროფესორების . ნ. ბოლქვაძის, თ. სადალაშვილის, პროფ. ა. გაგნიძის და ლაბორანტ ა. ავაქიანის განცხადებები სოციალური დახმარების თაობაზე.

აზრი გამოთქვას პროფესორები: ნ. კუციავა, ზ. ლომსაძე, მ. მშვილდაძე, ლ. გვასალია. მათ მხარი დაუჭირეს ფინანსური დახმარების გაწევას.

დაადგინეს: ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან მოხდეს ფინანსური დახმარების გაწევა შემდეგი ოდენობით:

1. ასოც. პროფ.	ნ. ბოლქვაძე	350 ლარი;
2. ასოც. პროფ.	თ. სადალაშვილი	350 ლარი;
3. პროფ.	ა. გაგნიძე	500 ლარი;
4. ლაბორანტი	ა. ავაქიანი	300 ლარი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მან გააკეთა ინფორმაცია, რომ ჩატარდა სათათბირო კანცლერთან და მიიღეს დავალება მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე წარმოადგინონ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მენეჯერმა ასევე აღნიშნა, რომ დღე-დღეზე ზუსტდება ფაკულტეტის შემოსავლები და მომდევნო სამუშაო კვირაში შესაძლებელი გახდება სათათბიროსთან ერთად, პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე